ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2883591

ნომერი: AR1445038

თარიღი : 29.09.2016

გაცემის თარიღი : 21.10.2016

გაცნობის თარიღი : 21.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.03.2016 წ. №2494651 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/09/2016 წ. N AR1445038 განაცხადით მომართა თენგიზი ესიავამ და ლაურა ღაჭავამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე

სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული III სართულის გეგმის ჩანაცვლება 2016 წლის 29 სექტემბერს #AR1428954 განცხადებით წარმოდგენილი III სართულის გეგმით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი, #29–ში (ს/კ: #01.14.14.012.027) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 23 მარტიდან 2017 წლის 23 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2016 წლის 26 აპრილის #2565428 გადაწყვეტილებით დადასტურდა მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 21 აპრილის #ბ-140120/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
ამასთან, 09.09.2016 წლის №2797389 ბრძანებით, გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებაში, კერძოდ: 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდა 2016 წლის 23 აგვისტოს #AR1428954 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
განმცხადებლების განმარტების თანახმად, სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ იცვლება და ითხოვს მხოლოდ 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული III სართულის გეგმის ჩანაცვლებას 29/09/2016 წ. N AR1445038 განცხადებით წარმოდგენილი III სართულის გეგმით.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება III სართულის გეგმაზე ფართობის დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებაში, კერძოდ: 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული III სართულის გეგმა ჩანაცვლდეს 29/09/2016 წ. N AR1445038 განცხადებით წარმოდგენილი III სართულის გეგმით;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.